ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
არქიტექტურის სამსახური

წერილის ნომერი: **60-01260263371**
თარიღი: **26/01/2026**

ადრესატი: შპს სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404438649
მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, N 52, საოფისე ფართი N1 (მშენებარე)

შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი“-ს,

გიგზავნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 26 იანვრის №ბ60.01260263 ბრძანებას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 18 დეკემბრის №7746774 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ.

დანართი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 26 იანვრის №ბ60.01260263 ბრძანება - 2 (ორი) ფურცელი.

თამარ აბაკელია

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-იურიდიული განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ბრძანება:**ბ60. 01260263**

თარიღი:**26/01/2026**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 18 დეკემბრის №7746774 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 07 ივლისის №7544131 ბრძანებით შეთანხმდა №01.17.13.056.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის არქიტექტურული პროექტი.

სამსახურის 2025 წლის 18 დეკემბრის №7746774 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.17.13.056.045) გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 18 დეკემბრიდან 2029 წლის 18 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2025 წლის 01 დეკემბრის №17-01253351670 წერილით სამსახურს ეცნობა, რომ №01.17.13.056.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ განხორციელებულ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი“-ს (ს/ნ: 404438649) მიმართ 2025 წლის 28 ნოემბერს გაცემულ იქნა №006029 მითითება.

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2025 წლის 30 დეკემბრის №17-01253643324 წერილით სამსახურს დამატებით ეცნობა, რომ მუნიციპალურ ინსპექციაში მიმდინარეობს წარმოება №01.17.13.056.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განხორციელებულ უნებართვო სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 09 იანვრის №ბ60. 01260093 ბრძანებით დაწყებულ იქნა მარტივი ადმინისტრაციული წარმოება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 18 დეკემბრის №7746774 ბრძანების კანონიერების შესწავლასთან დაკავშირებით.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, სამსახურის მიერ, 2026 წლის 16 იანვარს ჩატარდა ზეპირი მოსმენის სხდომა (ოქმი №ო-1) რომელზეც გამოცხადდნენ შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი“-ს წარმომადგენელი სოფიო ყურაშვილი. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის წარმომადგენელი - მზიანა ჯიქია.

ზეპირი მოსმენის სხდომაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მუნიციპალური ინსპექციის მიერ შემოწმებისას დადგინდა, რომ №01.17.13.056.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, განხორციელდა უნებართვო სამშენებლო სამუშაოები, რასთან დაკავშირებითაც 2025 წლის 28 ნოემბერს გაცემულ იქნა №006029 მითითება.

შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი“-ს წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამსახურის 2025 წლის 18 დეკემბრის №7746774 ბრძანება კანონიერია და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად

ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ხოლო, მე-4 და მე-5 ნაწილების თანახმად, დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი. კანონიერი ნდობა არ არსებობს, თუ მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება.

აღნიშნული კოდექსის მე–60 პრიმა მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს. შესაძლებელია განისაზღვროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტა მისი ძალაში შესვლის დღიდან.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 93-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შენობა-ნაგებობის მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია მშენებლობის შეტყობინება ან მშენებლობის ნებართვა. ამავე კოდექსის 112-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე განიხილოს მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხი. ასეთ შემთხვევაში, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

განსახილველ შემთხვევაში დგინდება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2025 წლის 28 ნოემბერს გაცემული №006029 მითითების გათვალისწინებით, სამსახურის 2025 წლის 18 დეკემბრის №7746774 ბრძანების გამოცემის დროს, საპროექტო ობიექტზე სამშენებლო სამუშაოები განხორციელებული იყო შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე (უნებართვოდ), რასთან დაკავშირებითაც მშენებლობის ნებართვის გაცემის დროს აუცილებელი იყო ჯარიმის გადახდის ქვითრის წარმოდგენა. თუმცა, მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე აღნიშნული დოკუმენტი, კერძოდ, დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, წარმოდგენილი არ ყოფილა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2025 წლის 01 დეკემბრის №17-01253351670 და 2025 წლის 30 დეკემბრის №17-01253643324 წერილებისა და თანდართული დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ბათილად ცნოს სამსახურის 2025 წლის 18 დეკემბრის №7746774 ბრძანება მისი ძალაში შესვლის დღიდან.

ვბრძანებ:

1.ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 18 დეკემბრის №7746774 ბრძანება მისი ძალაში შესვლის დღიდან.

2. აღნიშნულის თაობაზე ეცნობოს დაინტერესებულ პირ(ებ)ს.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ ბოლოთაშვილი

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახური-სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/ი 136-26
"03" 02 2026 წ.

დადგენილება №006029
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

03.02.2026წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა, გოგი ჩიქოვანმა განვიხილე, 2025 წლის 28 ნოემბრის №006029 მითითება და 2025 წლის 19 დეკემბრის №006029 შემოწმების აქტი შედგენილი **შ.პ.ს. „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი"-ს** (ს/ნ 404438649; მის: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, №52, საოფისე ფართი №1) მიმართ, საქართველოს კანონის "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 131-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა, №11, №01.17.13.056.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, კერძო საკუთრებაში არსებულ, მიწის ნაკვეთზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, **შ.პ.ს. „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი"-ს მიერ** ამოღებულია ქვაბული, მოწყობილია კაპიტალური საძირკველი, მონოლითური კოლონები, კედლები და სამშენებლო ქარგილები.

მუნიციპალური ინსპექციის მიერ, საქართველოს კანონის "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ, 2025 წლის 28 ნოემბერს შედგა №006029 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადა, განხორციელებული სამუშაოების კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, ან უსაფრთხოების წესების დაცვით ობიექტის დემონტაჟის განხორციელების მიზნით.

2025 წლის 19 დეკემბერს, საქართველოს კანონის "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის მიერ, შედგა №006029 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2026 წლის 27 იანვარს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, გაიმართა ზეპირი განხილვის სხდომა. საქმის განხილვის თარიღისა და დროის შესახებ მხარეს ეცნობათ კანონის შესაბამისად. სხდომაზე გამოცხადდა შ.პ.ს.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

“სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი”-ს წარმომადგენელი, მოქ. სოფიო ყურაშვილი, რომელმაც დაადასტურა მხარისთვის მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება და განაცხადა, რომ სამშენებლო სამუშაოები განხორციელებულ იქნა, სრულად, შ.პ.ს. „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი”-ს მიერ. წარმომადგენლის განცხადებით შ.პ.ს. „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი”-ს მიერ, წარმოდგენილია აღნიშნულ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით გაცემული ნებართვა, რის გამოც მხარე მიიჩნევს, რომ შესრულებულია 2025 წლის 28 ნოემბრის №006029 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რაც წარმოადგენს საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძველს. სხდომაზე წარმომადგენელს განემარტა სამართლებრივი შედეგების შესახებ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 07 ივლისის №7544131 ბრძანებით, შეთანხმებულ იქნა ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა, №11, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.17.13.056.045) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტი და 2025 წლის 18 დეკემბრის №7746774 ბრძანებით მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა (მშენებლობის ვადა განისაზღვრა 18/12/2025 წლიდან 18/12/2029 წლის ჩათვლით). საქმეშია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 26 იანვრის ბრძანება:ბ60.01260263, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 18 დეკემბრის №7746774 ბრძანება მისი ძალაში შესვლის დღიდან.

2026 წლის 03 თებერვალს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, ობიექტის ხელმეორედ გადამოწმებისას შედგენილი მოხსენებითი ბარათით დადგინდა, რომ **შ.პ.ს. „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი”-ს** მიერ არ იქნა შესრულებული 2025 წლის 28 ნოემბრის №006029 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები. ამასთან, ობიექტი გადამოწმდა არაერთხელ და შედგა №003331 17.09.2025წ, №003367 24.10.2025წ და №003467 21.11.2025წ. შემოწმების აქტები (სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ), რომლებშიც დაფიქსირდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის, 2025 წლის 21 აგვისტოს №შ-287/25 (№4-1/დ1489-25) დადგენილებით “სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე” (მშენებლობის შეჩერების შესახებ) გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა, კერძოდ გაგრძელებულ იქნა სამშენებლო სამუშაოები. ამასთან, დღეისმდგომარეობით ობიექტი წარმოადგენს კაპიტალურ ნაგებობას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 122-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია იმ სუბიექტთა წრე, რომლებზეც შესაძლოა გავრცელდეს სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სფეროში არსებული ნორმების მოქმედება. ზოგადი წესის თანახმად, სანებართვო დოკუმენტაციის დარღვევით ან მის გარეშე მშენებლობის განხორციელებისათვის, პასუხისმგებლობა ეკისრება მშენებლობის განმახორციელებელ პირს, ანუ პირს, უშუალოდ რომლის ქმედებამაც გამოიწვია სამშენებლო სამართალდარღვევა, ხოლო იმ

შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ასეთი პირის დადგენა, სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შენობა-ნაგებობის ან/და მიწის სამშენებლო ნაკვეთის მესაკუთრეს ან მოსარგებლეს.

მოცემულ შემთხვევაში, ქ. თბილისში, რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა, №11, №01.17.13.056.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, კერძო საკუთრებაში არსებულ, მიწის ნაკვეთზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელ პირს წარმოადგენს **შ.პ.ს. „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი”.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **შ.პ.ს. „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი”-ს** მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 131-ე მუხლის 1-ლი ნაწილის “გ” პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა, №11, №01.17.13.056.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, კერძო საკუთრებაში არსებულ, მიწის ნაკვეთზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, აშენებულია კაპიტალური ნაგებობა.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ”, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 122-ე მუხლის პირველი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, 127-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა” ქვეპუნქტით, 127-ე მუხლის მესამე ნაწილით, 128-ე მუხლის მესამე ნაწილით, 131-ე მუხლის 1-ლი ნაწილის “გ” პუნქტით და

დავადგინე:

1. **შ.პ.ს. „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი”** დაჯარიმდეს 20 000 (ოცი ათასი) ლარით ქ. თბილისში, რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა, №11, №01.17.13.056.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, კერძო საკუთრებაში არსებულ, მიწის ნაკვეთზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, კაპიტალური ნაგებობის მშენებლობისთვის;

2. ქ. თბილისში, რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა, №11, №01.17.13.056.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, კერძო საკუთრებაში არსებული, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს დაევალოს, ამავე მისამართზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, აშენებული კაპიტალური ნაგებობის;

3. **შ.პ.ს. „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი”-ს** დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამშენებლო სამართალდარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს სამშენებლო სამართალდარღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

4. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს. „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

5. სამშენებლო სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში (დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში), სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

6. სამშენებლო სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი 3 თვის შემდეგ სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსი

გოგი ჩიქოვანი

ელექტრონული საგადახდო დავალება No 37383

Transfer Order No 37383

საქართველოს ბანკი

თარიღი/Date: 04/02/2026 რეფერენს ნომერი/Reference number: 31767528210 შესრულებულია/Completed

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE17BG0000000549726373GEL

თანხა/Amount
20,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
ოცი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
404438649

საკომისიო/Commission
2.00 GEL

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
04/02/2026

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილების N 006029 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე (ისნ2)

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: "ს.ბ. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შექმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ელექტრონული საგადახდო დავალება No 37383

Transfer Order No 37383

საქართველოს ბანკი

თარიღი/Date: 04/02/2026 რეფერენს ნომერი/Reference number: 31767528210 შესრულებულია/Completed

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE17BG0000000549726373GEL

თანხა/Amount
20,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
ოცი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
404438649

საკომისიო/Commission
2.00 GEL

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
04/02/2026

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილების N 006029 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე (ისნ2)

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: "ს.ბ. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შექმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature: